განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში
წევრი:
ნათია ფხალაძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215108309

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ფოთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ფოთი, აკაკი წერეთლის ქუჩა 44
საფოსტო ინდექსი	4400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Poti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0493227455

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის, ლაშა მარგიშვილის ბრძანება MES 1 26 0000210177, 24/02/2026 - ,,სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის No1 საჯარო სკოლა მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ,,

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	მონიტორინგი განისაზღვრა დოკუმენტაციის შესწავლით

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის, ლაშა მარგიშვილის ბრძანების MES 1 26 0000210177, 24/02/2026 ,,სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის No1 საჯარო სკოლა მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ,, საფუძველზე, განხორციელდა სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) გეგმური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

სკოლის მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურ ფორმატში, ვიზიტის გარეშე, რაც გულისხმობდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძვლიან შესწავლას და ანალიზს. წარმოების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების განხილვას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის ფარგლებში დეტალურად იქნა შესწავლილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. მითითებული დოკუმენტები განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად პრინციპებს და განვითარების საერთო მიმართულებებს. აღნიშნული კომპონენტების განხილვამ შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო, რამდენად მკაფიოდ არის ფორმულირებული სკოლის მიზნები და რამდენად შეესაბამება ისინი საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1200	836 (36 მოსწავლე ირიცხება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე)

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვებ. ტექნოლოგიები". აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეების ციფრული კომპეტენციების განვითარებას, შრომის ბაზრისთვის მოთხოვნადი უნარების ჩამოყალიბებას და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებას. პროგრამის არსებობა მიუთითებს სკოლის მზაობას, უპასუხოს საგანმანათლებლო გამოწვევებს და უზრუნველყოს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია.
სკოლას აქვს საკუთარი ლოგო, რომლის თითოეულ სიმბოლოს გარკვეული დატვირთვა აქვს. ლოგო ასახავს სკოლის ინდენტობას და ორგანიზაციულ კულტურას.
დაწესებულების ძლიერ მხარედ შესაძლებელია განხილულ იქნას დაწყებით საფეხურზე სასკოლო ფორმების შემოღება, რაც ხელს უწყობს დისციპლინის, თანასწორობის და ერთიანობის განცდის გაძლიერებას. აღსანიშნავია დაწესებულების სოციალური პასუხისმგებლობაც - სკოლის კოლექტივის მიერ საკუთარი სახსრებით რამდენიმე სოციალურად დაუცველი მოსწავლისთვის სასკოლო ფორმების შეძენა წარმოადგენს მაღალი სოციალური ცნობიერების და თანადგომის მაგალითს.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ფილოსოფია რეალურად სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ჩამოყალიბდა. შესაბამისად, N1.1.1.1. ინდიკატორის შეფასება არ შეიცვალა.

სკოლა გეგმავს ფილოსოფიის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შეფასების კითხვარი წარმოადგინა. ვინაიდან, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმა არ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტებმა ვერ გამოკვეთეს საკმარისი საფუძველი შეფასების გადასახედად და ინდიკატორი N1.1.1.3. უცვლელად, უარყოფითად შეფასდა.

რაც შეეხება ინდიკატორს N1.2.2.3. - 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და შესაბამისად, ინდიკატორი N1.1.2.3 შეფასდა დადებითად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*
ინდიკატორი N1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება, რომ სკოლის ფილოფოფიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ინდიკატორი	*წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები*	*შესრულების სტატუსი - შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა*
ინდიკატორი 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები*	*შესრულდა*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლამ პირველადი ავტორიზაცია გაიარა 2023 წელს. როგორც გაირკვა, სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მაღალი იყო. 2024 წლის 26 აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიენიჭა ავტორიზაცია და შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებამდე დღის წესრიგში დადგა სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების შეცვლის საკითხი. მათ შორის, სკოლის ფილოსოფიის. ექსპერტები გაეცნენ ახალი ფორმულირებით სკოლის მისიას და ხედვას. სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან იგი ორიენტირებულია ინოვაციური და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნაზე. ასეთი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების განვითარებას მოაზროვნე, პროგრესზე ორიენტირებულ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად, რომლებიც იზიარებენ ეროვნულ ღირებულებებს და მზად არიან კონკურენტულ გარემოში დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის. სკოლის ხედვაც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაშია, მასში გამოკვეთილია განვითარების კონკრეტული მიმართულებები - მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობიერება, არაფორმალური განათლების განვითარება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაში და ხედვაში განსაზღვრულია სკოლის როლი, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულების. მისია ხაზს უსვამს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, ასევე პასუხისმგებლიანი და ეროვნული ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდას. სკოლის ხედვა ორიენტირებულია სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაზე, რაც ქმნის პირობებს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისა და მათი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზებისთვის. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის ჩამოყალიბებას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სოციო-კულტურულ სივრცედ, სადაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა უსაფრთხოება, თანამშრომლობა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობდა დოკუმენტით, სახელწოდებით ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.), რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესებში საზოგადოების აქტიურ თანამონაწილეობას. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც 1.1.1.1. ინდიკატორის აღწერით ნაწილშია მითითებული - დაწესებულებამ პროფესიული პროგრამის დამატებამდე უზრუნველყო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შეცვლა, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ იკვეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დოკუმენტურად დაუდასტურებული მექანიზმების არარსებობა ართულებს იმის ობიექტურ შეფასებას, თუ რამდენად რეალურად და ეფექტიანად იყო უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი შეფასდა უარყოფითად. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია, ხედვის და ღირებულებები გაზიარებასთან დაკავშირებით, სკოლამ ვერ წარმოადგინა დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, **ექსპერტებმა ვერ დაადგინეს რამდენად იყო გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი სკოლის ფილოსოფიის შედგენისას. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს (skolebi.emis.ge). სკოლის შესასვლელში, ფოიეში ფილოსოფია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვებ. გვერდის დათვალიერებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.);
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.). მასში განსაზღვრულია სასკოლო პოლიტიკის განსაზვღის პროცესის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. აღნიშნული დოკუმენტი შეიცვალა 2024 წელს, რაც განპირობებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებით. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შესავალ ნაწილს, SWOT ანალიზს, სკოლის ფილოსოფიას, სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT) ანალიზს. სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

1) სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება;
2) სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
3) პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის ბაზაზე;
4) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
5) არაფორმალური განათლების გაძლიერება;
6) განათლების ინკლუზია;
7) საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2025-2026 სასწავლო წელს იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის

გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება და პროფესიული განათლების დანერგვა და განვითარება, რაც სრულ თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წლები) ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წ.წ.);
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

როგორც აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით, მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.), რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.) საფუძველზე. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ ანგარიშს, კერძოდ, სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებს. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან იკვეთება, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარადგინეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს და შეფასებას, მისი მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლას სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge) წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდონობით სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ იკვეთება. როგორც 1.2.2.3 ინდიკატორის აღწერით ნაწილშია მითითებული, დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი, სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, თუმცა, ეს **შედეგები არ არის განთავსებული სკოლების პორტალზე და შესაბამისად, არ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.** ***<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლის საფუძველზე, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და შესაბამისად, ინდიკატორი N1.1.2.3 შეფასდა დადებითად. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>***

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ექსპერტებმა განიხილეს სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. როგორც გაირკვა, გარკვეული მიმართულებები „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. კერძოდ, არ შესრულდა - მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა, სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება. აღნიშნული

მიმართულებები გათვალისწინებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-324, 01.09.2023წ.);
- სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2025-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 07.04.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: